საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/1862
2012 წლის 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1).

2. დამტკიცდეს:

ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №2);

ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №3);

3. დამტკიცდეს თანდართული სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №4).

4. დამტკიცდეს თანდართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №5).

5. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა თანდართული სახით (დანართი №6).

6. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი თანდართული სახით (დანართი №7).

7. დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა (დანართი №8).

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №1–1/2502 ბრძანება „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმების, ადმინისტრაციული სამართალდარვევათა საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“.

9. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი — ვერა ქობალია